



საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 10 მაისი, 2018 წელი

დრო: 14:00 -16:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
2. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
3. კონსტანტინე კანდელაკი - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
4. ირმა ბასილაშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
5. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველო
6. ლევან გაბრიჩიძე - ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები
7. ნუკრი ყველაშვილი -ახალგაზრდული ალტერნატივა
8. გიორგი მარჯანიშვილი - ჩართულობის და განვითარების ცენტრი
9. ტარიელ ირემაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
10. ირაკლი ხორბალაძე - კარგი მმართველობის ინსტიტუტი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებების განხილვა
- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხი
- და სხვა.

საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვერდა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა, მერი კაპანაძემ, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მიმდინარე წლის მარტში ეროვნულ პლატფორმაში ჩატარებული საერთო კრების შემდეგ, აუცილებლობას წარმოადგენდა საარჩევნო ქვეჯგუფის ხელმძღვანელის არჩევის საკითხის განხილვა. ჯგუფის დამსწრე წევრების მხრიდან წარდგენილი კანდიდატი - საარჩევნო ქვეჯგუფის მოქმედი ხელმძღვანელი, ერთხმად ხელახლა აირჩიეს.

საარჩევნო ქვეჯგუფმა მუშაობის წარმატებულად განხორციელების მიზნით შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, კერძოდ:

1. ცესკოსთან აქტიური თანამშრომლობის მიზნით მემორანდუმის გაფორმების საკითხი
2. საკანონმდებლო ორგანოსთან, საქართველოს პარლამენტთან, აქტიური თანამშრომლობისათვის და საკომიტეტო განხილვებში ჩართულობისათვის, შეხვედრის ჩანიშნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქ-ნ ეკა ბესელიასთან.
3. საარჩევნო მიმართულებებით საჯარო განცხადებების, სიახლეებისა და საარჩევნო საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე საარჩევნო ქვეჯგუფის ვალდებულება უზრუნველყოს ჯგუფისა და პლატფორმის წევრები ინფორმაციით.

თავდაპირველად მან ჯგუფის წევრებს თავისი მოსაზრებები გაუზიარა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე. ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს იმ საკითხზე, თუ რა თემები უნდა მოიცვას აღნიშნულმა მემორანდუმმა, რა თანამშრომლობის ასპექტები უნდა გამოიკვეთოს. საარჩევნო ქვეჯგუფმა იმსჯელა და განიხილა ის გარემოებები, თუ რა უნდა იყოს გათვალისწინებული ცესკოსა და საარჩევნო ქვეჯგუფის შორის გასაფორმებელ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში.

ქვეჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს წარუდგინა პრეზენტაცია¹ „ცვლილებები საარჩევნო კოდექსში“, წევრებმა კი თავის მხრივ მოკლედ მიმოიხილეს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საკითხები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე

¹ იხ.თანდართული პრეზენტაცია და შეთავაზებული ცვლილებების დოკუმენტი